**დამტკიცებულია:**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის**

**2019 წლის 18 თებერვლის N 50/37 ბრძანებით**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის სამოქმედო გეგმა**

იურიდიული, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მოთხოვნებს.

1. კომისიის გეგმიური სხდომა მოწვეულ იქნეს ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს 11:00 საათზე.
2. კომისიამ უნდა უზრუნველყოს საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვა.
3. მოამზადოს და საკრებულოს წარუდგინოს წინადადებები: საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის და უფლებამოსილების შეწყვეტის ასევე საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებლობის შესახებ.
4. შეიმუშაოს წინადადებები თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, სამსახურეობრივი ეთიკის, ადამიანური რესურსების მართვის, თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთათვის ატესტაციებისა და კონკურსების ჩატარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საკითხებზე ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საშტატო ნუსხის განსაზღვრის, თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის, თანამდებობრივი ინსტრუქციების, სამუშაოთა აღწერილობებისა და ანგარიშგების შედგენის, ადგილობრივ თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ; კონტროლო გაუწიოს საკრებულოს მიერ ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების დაცვას და შესრულებას;

5. განიხილოს და მოამზადოს წინადადებები საკრებულოს რეგლამენტის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის, მერიის , მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა პროექტების და მათში ცვლილებების შეტანის საკითხებზე.

6. მოამზადოს დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ გამოსაცემი სამართლებრივი აქტების პროექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

კომისიის სხდომების განრიგი და განსახილველი საკითხები.

**თებერვალი:**

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული ინფრასტრუქტურული პროექტები და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ დასაფინანსებლად წარდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფრომაციის მოსმენა

**მარტი:**

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

**აპრილი**:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

**მაისი:**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

**ივნისი:**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

**ივლისი:**

**1.** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

**აგვისტო**:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

**სექტემბერი:** საკრებულოს, კომისიის და ბიუროს სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების ანალიზი.

**ოქტომბერი:**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

**ნოემბერი:**

2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

**დეკემბერი.** კომისიის 2019 წლის შეჯამება და 2020 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო, საკითხთა და ეთიკის**
**კომისიის თავმჯდომარე** **ოთარ ლურსმანაშვილი**